წინასწარ ძიებაზე ელექტრონული განაცხადის შევსებასთან დაკავშირებული ინსტრუქცია

1 მომხმარებლისრეგისტრაცია

წინასწარ ძიებაზე ელექტრონული განაცხადის შევსებისთვის უპირველეს ყოვლისა უნდა დარეგისტრირდეთ საქპატენტის ვებგვერდზე: www.sakpatenti.org.ge განთავსებულ ბმულზე "ელექტრონული განაცხადი" <u>https://online.sakpatenti.gov.ge/ka/app/home/</u> (სურ. 1)



სურ 1 www.sakpatenti.org.ge, ელექტრონული განაცხადი

გახსენით ელექტრონული განაცხადის ბმული. თუ თქვენ არ ხართ დარეგისტრირებული, დარეგისტრირდით (სურ.2):

anabaungo molu	
პაროლი:	
	შესვლა

n სისტემასთან წვდომა

ღილაკზე "რეგისტრაცია" დაწკაპუნებით, გამოვა ქვემოთ (სურ. 3) მოყვანილი დიალოგური ფანჯარა, სადაც საჭიროა შესაბამისი ველების შევსება:

	რეგისტრაცია
* მომხმარებლის ტიპი:	Please Choose:
* მომხმარებელი:	
* პაროლი:	
* გაიმეორეთ პაროლი:	
* სახელი:	
* გვარი:	
სახელი (ENG):	
გვარი (ENG):	
* პირადი წომერი:	
* ტელეფონი:	
* ელ.ფოსტა:	
* რეგისტრაციის მისამართი:	
* ფაქტობრივი მისამართი:	
(ОК უკან

სურ. 3. მომხმარებლის რეგისტრაცია

რეგისტრაციის შედეგ, თქვენი მომხმარებლის სახელით და პაროლით შედით სისტემაში.

2 განაცხადის შევსება

სისტემაში თქვენი სახელითა და პაროლით შესვლის შემდეგ გამოჩნდება ელექტრონული ფაილინგის სისტემა, სადაც უნდა დავაწკაპუნოთ ღილაკზე "საქმეები": (სურ. 4)



სურ. 4. ელექტრონული ფაილინგის სისტემა, საწყისი გვერდი

მარჯვენა მხარეს გაიხსნება შესაბამისი ველი, საქმეები, სადაც ახალი განაცხადის შესავსებად უნდა დავაწკაპუნოთ ღულაკზე "ახალი", როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ (სურ. 5):

😼 IPCG Sakpatenti 🗙 💽		
← → C	tenti.gov.ge/ka/app/home/	• ☆ :
ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ state ເປັນຄາງ ເປັນຄາງ gtest ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາງ ເປັນຄາ	საქმეები × 8° ახალი საქმ პატენტი საქმ პატენტი საქმ ბიპანი 14 დიზაინი 17 გეოგრაფიული აღნიშვნა ახალი ჯიში სავტორო უფლება წინასწარი მიება	
©	საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი	

სურ. 5. წინასწარი ძიების განაცხადის გახსნა

"წინასწარი ძიების" ამორჩევის შემდეგ იხსნება ფანჯარა, რომელიც რამდენიმე ბლოკისგან შედგება (სურ. 6)

🐴 IPCG Sakpatenti 🛛 🗙 📜	1					
← → C Secure https://or	nline.sakpatenti.gov.ge/ka	/app/home/				야 ☆ :
	with x nágyfigur	endugity ×				
62 9 5232363660 SAKDATENTI						
MICHAE AND A REPAIR			გამოგონების დასახელება			6660
(Marchine)	•				* საქმის ნომერი:	ვნიჭება ავტომატერად
gtest					* წარდგენის თარიღი:	17/07/2018 ×
0.00000.000 \$20.005c			ვამოგონების შესაბამისი ტექნიკის დონის მოკლე აღწერა		* eðogjósk fælgtis:	10
ნავიგაცია					* jadjop Qojo;	Şədəlişirhə Ərgbi, PS X
urjiurilioloo 🖉					გარე წომერი:	
639000n						8_prg1366230
მეტყობინებები					გამოგონენის შესამამი	სი ტექნიკის დონის პოკლე აღწერა:
oligmologika			ວມສີກາວກຮ້າວໃກຍ່ະ ໝາງໃນອາກາກິດ ແອຊິສກົນ		1. რა ტემოლოგიე 2. აღწერეთ პრობი	მს ეხება გამოგონება? ლენა, რომელსაც წყვეტს გამოგონება; რა
			And A show where a set of		არის დღემდე პროპლების გა	სხვების მიერ გაკეთებული მიცემული დასაჭრელად? რატიშ არ არის ეს ეს
					ანილიტიდაც ახალი ოიტიკი 2	ები კარგი ამ საკმარისი? თეის ჩავნობი მიწყომილობა ან პროვესი,
					რომელიც მაკაქ რომლის გალმეთ	სია ან ახლოსაა თქვენს გამოგონებასთან ან, ობესებულ ვარიანტსაც წარმოადგენს თქვენი
					ູນສ້າງກຽງໃນ. ຫ ອ້າງໃຫາກມອກເອີກ.	იუ ეს ინფორმაცია მიცემულია რამე ათხოვთ მოფითოთ შისაპამისი წაარო,
					პამოგინების დეტალე	the selfets:
		ეკიტიტინ	სვიი რიფიწმელითი ფიიი.სელი (ფეკამაწეიმალი დიდიკით რი ი.დ.)	1. აღწერეთ სათა გამოგონენის შე	მადოდ სჩულად, თუ როგორ არის ვსრულება და გამოყებება შესაბლებელი,
	Browse				რითა შესიძლემე გამოგონება და რ	ჯიი იყოს გაგება, თუ რაში მდგომარეობს სოგორ დერქაიობირებს იგი.
					 2. 60 g3n6u8g6mbg 3. 1050/600 3030 	ები აქვს გამოგომებსს? ლა შეფეგი, რაც შიიღწევა თქვენი
					ვამოგონენით. 4. რა არის გამოგონ	სების ყველაზე ფართო გამოყენება?
					5. Şuhânuganögen Ubsu obernfiltuu	პრეზენტაციები, ხახაზები და ხებისმიერი ია, რომილიც კიდიდ უფრი დატალურად
					setting shrips	phile. Inden: Euf-denumentenen bassantien bestantenten
				an. and		
	0:000:050n					
	B 🖊 🛢					
	სახელი	მისამართი	სტატუსი	tubymo (ENG)	მისამართი	მოქალაქეობა საიდენტ
			- clier	name name		
	•					•
			შენახვა	რიგმამი		
			© საქართველოს ინტელექტუალური საკუთრ	ების ცენტრი		

სურ. 6. ახალი საქმე

ქვემოთ განმარტებულია თითოეულ ბლოკში მოთხოვნილი ინფორმაცია.

2.1 ბლოკი "საქმე"

ამ ბლოკში უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი ველის შევსება, "გარე საქმე". აღნიშნულ ველში უნდა მოხდეს დანართი 1 (გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობები) მე-4

მუხლის (საკო	ნკურსო დი	ოკუმენტაცია) მ <u>კ</u>	ე-2 პუნქტის "ა"		საქმე
ქვეპუნქტის პი	იროზის შეს	აბამისად მინიჭ	ებული	* საქმის ნომერი:	ენიჭება ავტომატურად
პროექტის ში ღ	ვრის მითიი	იება.	/	* წარდგენის თარიღი:	17/07/2018 X
	-	-		* ობიექტის ნომერი:	10
				* საქმის ტიპი:	წინასწარი ძიება, PS 👻 X
				გარე ნომერი:	
4 × 0	Alexandre Alexan		- 11		
		Padhales invitite	Page and Control R		
	angan pangoo Napagoo Sadaha Nagana	mpdater proposi Static mare pilat state	• daga balan ja • uga pada pilongan pilongan		
	dende .	piherkini appentri alifu	 Conjection (19) (Conjection) Conjection (19) (
	[] (max.)	իստնությունը կողմից ու ու էր։	Provide Society of the second se		
	talegie 26 🗶 🖉 Marri - Multim	Nador Man-1901	Hulfve Heinleit Smith		
		Augustingen dies	სურ. 7. ბლოკი "საქმ	მე" , გარე ნომერი	

2.2 ბლოკი "გამოგონების დასახელება"

ამ ბლოკში გთხოვთ მიუთითეთ თქვენი პროექტის (გამოგონების) დასახელება



სურ 8. წინასწარი ძიების განაცხადი, სავალდებულო ბლოკები

2.3 ბლოკი "გამოგონების შესაბამისი ტექნიკის დონის მოკლე აღწერა"

ამ ბლოკში უნდა მოხდეს განაცხადის შევსების მომენტისთვის ტექნიკის მოცემულ დარგში ცნობილი

გამოგონებების, სამეცნიერო მიღწევების და ა.შ. აღწერა. გზამკვლევად შესაძლებელია შემდეგ კითხვებზე

პასუხის გაცემა:

• რა ტექნოლოგიებს ეხება გამოგონება?

 აღწერეთ პრობლემა, რომელსაც წყვეტს გამოგონება; რა არის დღემდე სხვების მიერ გაკეთებული მოცემული პრობლემის გადასაჭრელად? რატომ არ არის ეს ეს გადაწყვეტილებები კარგი ან საკმარისი?

 აღწერეთ თქვენთვის ნაცნობი მოწყობილობა ან პროცესი, რომელიც მსგავსია ან ახლოსაა თქვენს გამოგონებასთან ან, რომლის გაუმჯობესებულ ვარიანტსაც წარმოადგენს თქვენი გამოგონება. თუ ეს ინფორმაცია მოცემულია რამე პუბლიკაციაში, გთხოვთ მიუთითოთ შესაბამისი წყარო.

2.4 ბლოკი "გამოგონების დეტალური აღწერა"

ამ ბლოკში უნდა მოხდეს პროექტის/გამოგონების სრული აღწერა. გზამკვლევად შესაძლებელია შემდეგ

კითხვებზე პასუხის გაცემა:

 აღწერეთ სათანადოდ სრულად, თუ როგორ არის გამოგონების შესრულება და გამოყენება შესაძლებელი, რათა შესაძლებელი იყოს გაგება, თუ რაში მდგომარეობს გამოგონება და როგორ ფუნქციონირებს იგი.

• რა უპირატესობები აქვს გამოგონებას?

- აღწერეთ ყველა შედეგი, რაც მიიღწევა თქვენი გამოგონებით.
- რა არის გამოგონების ყველაზე ფართო გამოყენება?

• წარმოადგინეთ პრეზენტაციები, ნახაზები და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც კიდევ უფრი დეტალურად აღწერს გამოგონებას.

• საკვანმო სიტყვები: წარმოადგინეთ საკვანმო სიტყვები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოგონების კატეგორიზაციისათვის

2.5 ბლოკი "გამოგონების დამატებითი მასალები"

აღნიშნული ბლოკში შესაძლებელია დამატებითი მასალების, მაგალითად ნახაზების, პუბლიკაციების,

პრეზენტაციების და ა.შ. ატვრითვა. გთხოვთ გამოიყენოთ ღილაკი "Browse" (მონიშნულია სურათზე 8).

2.6 ბლოკი "სუბიექტი"

ბლოკი "სუბიექტი"-ს გამოყენებით განმცხადებელს საშუალება აქვს დაამატოს ფიზიკური ან იურიდიული

პირები ღილაკზე "ახალი" დაწკაპუნებით, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ სურათზე (სურ.9)

სუბიექტი							
▶ / ♥							
იურიდიული პირ	ი ტუსი	სახელი (ENG)	მისამართი	მოქალაქეობა	საიდენტიფიკ	d30	მონაწილე
ფიზიკური პირი							
			ინფორმაცია	არაა			

სურ. 9. ბლოკი სუბიექტი

იურიდიულ პირს ირჩევთ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული კომპანია ან უხო ქვეყნის იურიდიული პირი. ფიზიკურ პირს ირჩევთ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის ადგილობრივი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე. ორივე შემთხვევაში იხსნება ფანჯარა, სადაც უნდა შეიტანოთ მონაცემები, როგოც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ სურათზე (სურ. 10):

მატება სუბიექტი			_					
	იული 🔘	რიდიული	პირი	🖲 ფიზიკური პირი				
	იდენტიფიკაცია			რეგისტ	რაციის მისამართი			
მოქალაქეობა:	ადგილობრივი	*	x	J309585:	ამოირჩიეთ:		•	x
პირადი ნომერი:			Q	მისამართი:				
მოქალაქეობა:	ამოირჩიეთ:	Ŧ	×	ადგილმდებარეობა:		ინდექსი:		
რეზიდენტი:	ამოირჩიეთ:	Ŧ	x	მისამართი (ENG):				
				ადგილმდებარეობა (ENG):				
	სახელი			asdan	აბრივი მისამართი			
სახელი:	გვარი:			5000				
სახელი (ENG):	გვარი (ENG):			ქვეყანა:	ამოირჩიეთ:		•	х
	როლები			მისამართი:				Ē
გამომგოხებელი:	📄 გახმცხადებელი: 📄 პატენტ	რწმუხებუ	ლი: [ადგილმდებარეობა:		ინდექსი:		
წარმომადგენელი	: 📄 საკონტაქტო პირი: 📄 უფ	ლებამოსი	ლი: [მისამართი (ENG):				
	კონტაქტები			ადგილმდებარეობა (ENG):				
მობილური:	SMS:							
ტელეფონი:	ელ.ფოსტა:							



სუბიექტი - იურიდიული პირი

იურიდიული პირის სუბიექტად დამატებისას (მაგ.: მოქალაქეობა -ადგილობრივი, უცხოელი ან რეზიდენტი, ან სხვა ველები) გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი:

ადგილობრივი - უნდა აირჩიოთ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის საქართველოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირი, ამ შემთხვევაში აუცილებელია, შეავსოთ საიდენტიფიკაციო კოდის ველი, სადაც უნდა მიუთითოთ იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლითაც იგი რეგისტრირებულია საჯარო (სამეწარმეო) რეესტრში.

უცხოელი - უნდა აირჩიოთ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის უცხო ქვეყნის იურიდიული პირი და სამეწარმეო საქმიანობასაც ეწევა ამავე ქვეყანაში. ამ შემთხვევაში საიდენტიფიკაციო ველის შევსება არ გჭირდებათ.

რეზიდენტი - უნდა აირჩიოთ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის წარმომავლობის ქვეყანა განსხვავდება იმ ქვეყნისგან, სადაც განმცხადებელი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მაგალითად, შეიძლება განმცხადებლის წარმომავლობის ქვეყენა იყოს საფრანგეთი, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდეს საქართველოში. თუ სამეწარმეო საქმიანობას ეწევა საქართველოში, მაშინ მისი კომპანია უნდა იყოს დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში და ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა შეივსოს საიდენტიფიკაციო ველის კოდი.

როლები - ამ ბლოკში უნდა მონიშნოთ თქვენს მიერ შეტანილი იურიდიული პირის შესაბამისი სტატუსი რაც განსაზღვრავს განაცხადის რეგისტრაციის მოთხოვნით განაცხადის მიმართ რა როლი აქვს მოცემულ სუბიექტს: ის არის განმცხადებელი, წარმომადგენელი, პატენტრწმუნებული, საკონტაქტო პირი თუ უფლებამოსილი პირი. ერთი და იგივე სუბიექტს შესამლოა ქონდეს ერთზე მეტი როლი: მაგალითად, განმცხადებელი და საკონტაქტო პირი, პატენტრწმუნებული, წარმომადგენელი და საკონტაქტო პირი, წარმომადგენელი და საკონტაქტო პირი, და ა. შ.

ველში **"ორგანიზაციის დასახელება"** შეიტანეთ იურიდიული პირის სახელწოდება, ორგანიზაციის დასახელების ინგლისურენოვან ველი შეივსება ავტომატურად ქართული დასახელების შესაბამისი ინგლისური ჩანაწერით ტრანსლიტერაციის წესების გამოყენებით, მაგრამ თუ განმცხადებელი არის უცხოელი, აუცილებელია თვითონ შეასწორეთ ინგლისურენოვანი ველი კომპანიის ორიგინალური დასახელებით.

განმცხადებელი – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომლის სახელითაც მოითხოვება წინასწარი ძიების განაცხადის რეგისტრაცია;

გაფრთხილება: მონიშნეთ ეს როლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი განმცხადებელია

წარმომადგენელი -პატენტრწმუნებული, იურიდიული ან ჩვეულებრივი ფიზიკური პირი, რომელიც განმცხადებლის სახელით აწარმოებს წინასწარ ძიებასთან დაკავშირებულ საქმიანობას საქპატენტთან განმცხადებლის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

გაფრთხილება: მონიშნეთ ეს როლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი წარმომადგენელია, მაგრამ არ არის პატენტრწმუნებული;

პატენტრწმუნებული – პატენტრწმუნებული შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:

ა) საქართველოში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;

ბ) აქვს უმაღლესი ტექნიკური, საბუნებისმეტყველო ან იურიდიული განათლება;

გ) გავლილი აქვს პატენტრწმუნებულთა ატესტაცია "საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების" მიერ დადგენილი წესით

გაფრთხილება: მონიშნეთ ეს როლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი პატენტრწმუნებულია. ასეთ შემთხვევაში როლი "წარმომადგენელი" მოინიშნება ავტომატურად.

საკონტაქტო პირი - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომლის მისამართზედაც სურს განმცხადებელს საქპატენტის შეტყობინებების მიღება. საკონტაქტო პირი შესამლოა იყოს თვითონ განმცხადებელი, წარმომადგენელი ან სხვა პირი. ამ როლის მონიშვნა აუცილებელია. თუ იგი არ იქნა მონიშნული, სისტემა შეგახსენებთ ამის შესახებ.

გაფრთხილება: მონიშნეთ ეს როლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი საკონტაქტო პირია **"კონტაქტებში"** შეავსეთ საკონტაქტო მონაცემები .

სუბიექტი - ფიზიკური პირი

თუ სუბიექტი არის ფიზიკური პირი, მისი მონაცემები ივსება ანალოგიურად, მხოლოდ უნდა აირჩოით თავიდან "ფიზიკური პირი", როგორც ეს აღნიშნულია სურათზე 10. საიდენტიფიკაციო კოდის ველის ნაცვლად არის პირადი ნომრის ველი, სადაც უნდა შეიტანოთ თქვენი მოქალაქეობის დამადასტუებელი მოწმობის პირადი ნომერი; დასახელების ნაცვლად არის სახელი, გვარი, მათი ინლისურენოვანი ველები. თუ არსებობს ერთზე მეტი განმცხადებელი, უნდა დაამატოთ სუბიექტებში ყველა მათგანის მონაცემები, და თითოეულისთვის მონიშნოთ როლი "განმცხადებელი"

იმისათვის, რომ სისტემაში არ იყოს განმეორებული ერთი და იგივე სუბიექტის მონაცემები რამდენჯერმე, ახალი სუბიექტის დამატებისას საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომრის შევსების შემდეგ შესაბამისი გრაფის გასწვრივ ძიების ღილაკის გამოყენებით სისტემა შემოგთავაზებთ არსებობის შემთხვევაში ასეთი საიდენტიფიკაციო (ან პირადი) ნომრის მქონე სუბიექტების მონაცემებს. აირჩიეთ სუბიექტი უკვე არსებული ჩამონათვლიდან და თქვენ აღარ დაგჭირდებათ ახლიდან მონაცემების შეტანა.

"რეგისტრაციის მისამართის" ბლოკში შეავსეთ ოფიციალური (იურიდიული) მისამართი. მისამართის ველში აკრიფეთ მხოლოდ მისამართი, ქუჩა, რაიონი, ნომერი. აქ აღარ შეიტანოთ ქვეყნის დასახელება. **"ადგილმდებარეობის"** ველში შეიტანეთ ქალაქის დასახელება, ინდექსის ველში შეიტანეთ საფოსტო ინდესი. ამ მონაცემების ინგლისურენოვანი ველი შეივსება ავტომატურად, თქვენ შეგიძლიათ შეასწოროთ ინგლისურენოვანი ვერსია, თუ ჩათვლით, რომ ეს საჭიროა.

"ფაქტობრივი მისამართის" ველი უნდა შეავსოთ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რეგისტრაციის მისამართისგან განსხვავებული მისამართი საქპატენტთან მიმოწერის საწარმოებლად. თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ მონიშნეთ უჯრა **"იგივეა, რაც რეგისტრაცია"** და რეგისტრაციის მისამართი ავტომატურად გადმოვა ფაქტობრივი მისამართის ბლოკში.

ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის მისამართის ზლოკეზი იდენტურია და ივსება ერთი და იმავე წესით.

3 შენახვა, დასრულება, დახურვა

მთავარი ფანჯრის ბოლოში არის ღილაკები: **შენახვა, დახურვა**

შეამოწმეთ თქვენს მიერ შეტანილი მონაცემები, თუ აღმოაჩენთ, რამე შესასწორებელია, შეასწორეთ და დააწკაპუნეთ ღილაკზე "შენახვა". თქვენს მიერ შენახული განაცხადის მონაცემების კორექტირება შეგიძლიათ მანამ, სანამ არ გამოიყენებთ "დასრულების" ღილაკს.

შენახვის შემდეგ, გამოჩნდება ღილაკი "**დასრულება**". "დასრულების" გამოყენებამდე კიდევ ერთხელ შეამოწმეთ თქვენს მიერ შეტანილი მონაცემები, თუ დარწმუნდით, რომ ყველაფერი სწორადაა შეტანილი, მაშინ დააწკაპუნეთ ღილაკზე "დასრულება", შემდეგ "დახურვა".

თუ გსურთ, გადადოთ განაცხადის შეტანის დასრულება რაიმე მიზეზით, "შენახვის" შემდეგ არ გამოიყენოთ ღილაკი "დასრულება" და გააგრძელეთ პროცედურა თქვენთვის სასურველ დროს. "შენახვა" უზრუნველყოფს თქვენი შეტანილი მონაცემების შენახვას, შენახულ განაცხადს მიენიჭება დროებითი კოდი, რომლის პირველი ორი სიმბოლო არის "AC", რომელსაც მოყვება გარკვეული ციფრები, მაგ.: AC74670.

"დასრულების" ღილაკის გამოყენების შემდეგ კი თქვენს განაცხადს მიენიჭება ე. წ. საქმის ნომერი, რომელიც მთავრდება "/10", რაც აღნიშნავს, რომ თქვენი განაცხადი დაფიქსირდა ელექტრონული ფაილინგის სისტემაში, როგორც დასრულებული განაცხადი წინასწარი ძიებისთვის. მაგალითისთვის

განაცხადის დასრულების შემდეგ ძირითადი მენიუს "საქმეებში" გაჩნდება თქვენს მიერ შეტანილი განაცხადის საქმის N და მისი შესაბამისი მონაცემები.

ყველა ზემოთ მოყვანილი ველი (დროებითი კოდი, საქმის ნომერი, ისტორიის ტაბი) მითითებულია ქვემო მოყვანილ სურათზე (სურ. 11)

LADIARDINTYS. BINATION LADIARDINTYS. BINATION LADIARDINTYS. BINATION LADIARDINTYS. BINATION LADIARDINTYS. LADIARDIARDINTYS. LADIARDINTYS. LAD	საქმეები 🗙 ფილტრები								-
atest	C 🗟 / 🔍 🤋		მთავარი	სუბიე;	ეტი ისტორ	03			
სისტემიდან გამოსვლა	საქმის N 👻	Q	N:	e	დაიწყო	Ŀ	დასრულდა	შემსრულებელი	
	საქმის ნო რეგ. N	წარდგენის თ რეგ. თარიღი	AC74670	6	18/07/2018		18/07/2018	بعادله مسمطا مطالع	
ნავიგაცია	300/10	2018-07-18		0	10/07/2010	0	10/07/2010	01000 000000 00000 03.	-
ოპერაციები 🌰	14486/1	01/05/2017							
საქმეები									
შეტყობინებები									
იწვოისები									

სურ. 11. დასრულებული განაცხადის დეტალები

ჰორიზონტალური მენიუში გადადით ტაბზე "ისტორია", მონიშნეთ ჩანაწერი და მარჯვენა ქვედა კუთხეში (წითელი ფერის ისრითაა ნაჩვენები სურ. 12) გამოჩნდება საკანცელარიო ცნობა - PDF ფაილი, სადაც გამოტანილია ყველა აუცილებელი ინფორმაცია თქვენს მიერ შეტანილ განაცხადთან დაკავშირებით, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ეს ფაილი.

← → C Secure https://online.sak	kpatenti.gov.ge/ka/app/home/						64 Q Å
	luddoolo x						
	ფილტრები კაიი	10202 m					
	CBIS	}⊳	Basigiño li	ინისერიი ისტორია			
gtest	lusjönti N 💌	Q	N	an North Loop	an after	h h hela	and the second second
სისტემიდან გამოსელა	baddob 6m., Mpg. N	წარდგენის თ.	N:	ndjhugos Rođenski	000795	18/070	2018 bit to bit to be to
წავივაცია	300/10	18/07/2018	AC/46/0	£04-05200	16/07/2018	10/07/	5018 00r0u reg0.50 00r0u 53-
ოპერაციები 🔺	1						
საქმეები							
შეტყობინებები							
ინეოისები							
	1						
	ł						
	ł						
	ł						
	ł	ł					
		ł					
		ł			ගාරං	ಧತಿಂ	
		1	Britofic: <u>AC7467</u> autofic: <u>18/07/</u>	10 nðrfunn: (kringski 2018 býðrunn: kringski	900-	დები იპირიოდა:[8/07/2018] მიმხმარძვიიი:[ისპიი სახიიო ბი	მეტის ჩევნება
	I		Bedatio: <u>AC7467</u> Quegyn: <u>18/07/2</u>	10 იპირაიია: წარყვებს. 2018 სტატერი: სჭეიტერი	ත්රයා දේශය වේදීමත්	ლპი იარელფა[18/07/2018] მომხრებელი:(ევსტი სახელი ტქ რელება	მეტის ჩვენება
			ອາສີນາໂດ: <u>ລ.C.7467</u> ທູນເຖິງທາ [18/07/2 ຈຸມທຸມເງິຽຽຽຽດແຽນອີ	10 nabriumu: Butungah 2019 kéhádini légéngtin at	අපරං වේදීමය වේදමාදීමය	ლასი დარულილი[18/07/2018] ბიმხარებელი[ეტეტი სახელი ტქ ტილება	მეტის წყენეს
		1	ຣິກຟັງກິດ: <u>AC7467</u> ອູນດາຈິງກາ: <u>(B(07)7</u> ອະຊຸນຊິງສຽດຕາງອີ ໃນສຽງສຽດຕາງອີ	10 nådhuns: (krimste 1005 ajgergrin 2018 2019 2019	ବରେଜ ଅଂବ୍ୟାନ୍ତର	დები დამტელის[8/07/2018] მომხმარებელის[ეტეტი სახელი ტე ტილება	60×20400 10044 403604
		1	ნომარი: <u>გ.77467</u> დარჭყი: <u>18/07/2</u> ასდენვეტილენ საფენვეტილენი საფენველ	10 Indohuma Buhayaka 2018 babatan jabargha at 1 1: 1:	තරයා දාලංච්ඡන	egða Þáðaregas (18/07/2018 - ðaððaðaðara ígjága hiðgen óg Jónegða	topis sartin ingen
		1	ອາຟະກໍດ: <u>AC7467</u> ອູນຕ້ອງກ: <u>18</u> (07)7 ວ່າອຸນອີສູງລັດຕຽງວິ ໃນອຽກຮູງລູດດ(ງລິດ ໂນອຽກຮູງລູດດ(ງລິດ	0 Indohusat (sayagas 2018 Indohusat (sayagas at I 1) t	මාරං) (වැත්තික	ლები დაბრულფი (18/07/2018 _). მომზმარებელი: (ტებეი სახელი ტე ტილებს	8004 80800
	K		Bedatha: <u>AC7467</u> ຊຸດເຄີ່ງກາ: <u>BR</u> (07)7 ລະຊະເອີສລຽດແບລີ ໂທລຽດສູ່ລູງແຫຼ່ງລະດ ໂທລຽດສູງແຫຼ	10 nástiuns: Butagatu 1038 köldölni lágorgán el 21	රේදය) (coln pińacew:[8/07/2018_] initianglacen:[galge lakoce od gancyla	Adr spine Adr spine

სურ. 12. შემაჯამებელი ფაილი PDF ფორმატში

თუ აღმოჩნდა, რომ ამ ფაილში არ არის მონაცემები დაგენერირებული, ეს ნიშნავს, რომ განაცხადის შევსებისას რაღაც არასწორად იყო შესრულებული, ასეთ შემთხვევაში დაგვიკავშირდით საქპატენტის ცხელ ხაზზე და გაგიწევთ დახმარებას თქვენ განაცხადთან დაკავშირებულ პრობლემის მოგვარებაში.